ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3898578

ნომერი: AR1589996

თარიღი : 02.04.2018

გაცემის თარიღი : 03.04.2018

გაცნობის თარიღი : 03.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზაბავრის , ჩიხი I , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე ბუაძე პ/ნ 01030030149
- თბილისი გ.ცაბაძის ქ. N 4 ბ. 40

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 5 აპრილის №3176865 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 22 თებერვალს AR1579527 განცხადებით მომართამოქალაქე ეკეტერინე ბუაძემ და მოითხოვა 2017 წლის 5 აპრილის№3176865 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 5 აპრილის №3176865 ბრძანებით N01.

11.12.018.239 საკადატრო კოდით რეგისტრირებულ მიწის
ნაკვეთზე (ფართობი: 2314 კვ.მ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. დადგენილი ბრძანების თანახმად შენობის მაქსიმალური დასაშვები სიმაღლე განისაზღვრა სამეზობლო მიჯნებიდან, ვინაიდან მიწის ნაკვეთს არ გააჩნია საზოგადოებრივი საზღვარი. 2018 წლის 30 მარტის №3882392 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2017 წლის 5 აპრილის №3176865 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში მიწის ნაკვეთის ფართობის შემცირებისა და ახალი საკადასტრო მონაცემების დაფიქსირების გამო (01.11.12.018.246, ფართობი: 2194 კვ.მ).
ამჟამად განმცხადებელი ითხოვს, მაქისმალური სიმაღლე, ნაცვლად სამეზობლო მიჯნებისა, განესაზღვროს ჩრდილო-დასავლეთითი არსებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთიდან (საკადატრი კოდი: 01.11.12.018.245), რომელიც წარმოადგენს სახლმწიფო საკუთრებას და, ამასთან, დატვირთულია საზოგადოებრივი სერვიტუტით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფლოს მოთხოვნა და ჩაითვალოს საზოგადოებრივი საზღვარი სახელმწფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (საკადატრი კოდი: 01.11.12.018.245), ამასთან, კანონმდებლობის შესბამისად საოზგადობრივი სივრცის მოპირდაპირე მხარეს დაუდგინდეს უკანა ეზო.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 5 აპრილის №3176865 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ:
   - ჩაითვალოს საზოგადოებრივი საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით, სახელმწფო საკუთრებაში არსებული, საზოგადეობრივი სერვიტუტით დატვირთული, მიწის ნაკვეთიდან (საკადატრი კოდი: 01.11.12.018.245),
   - შეიცვალოს ჩანაწერი: „მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: განისაზღვროს სამეზობლო მიჯნებიდან“, ჩანაწერით: მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: განისაზღვროს საზოგადებრივი საზღვრებიდან;
   - კანონმდებლობის შესაბამისად საოზგადობრივი სივრცის მოპირდაპირე მხარეს დაუდგინდეს უკანა ეზო. (იხ. დანართი)

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 5 აპრილის №3176865 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და 2018 წლის 30 მარტის №3882392 ბრძანებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge